საქართველო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

დ. ჩოხატაური. წერეთლის ქ №2

№——— "———"——————————— 2015 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზ. მამალაძეს

გეგზავნებათ, „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე განკარგულების პროექტი.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის

კომისიის თავმჯდომარე: მ. ბერაძე

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2015 წლის ————

დ. ჩოხატაური

„ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.
2. „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. 4–ში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: მარინე ბერაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 N412 დადგენილებით განისაზღვრა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესი, „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N 411 დადგენილებით კი განისაზღვრა საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს ახალ წესებს ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის შესახებ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავა და დასამტკიცებლად წარმოადგინა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსის/ატესტაციის ჩატარებისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის წესი, რომელიც აუცილებელია კონკურსისა და ატესტაციის გამართულად ჩატარებისათვის, რათა დაცული იქნას, როგორც კანონის მოთხოვნები, ასევე კონკურსანტის ინტერესები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსის/ატესტაციის ჩატარებისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიას აქვს უფლებამოსილება დაამტკიცოს გასაუბრების შეფასების ახალი ფორმა, შესაბამისად უკვე არსებულმა ფორმამ უნდა დაკარგოს ძალა.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.

პროექტის ავტორი და სხდომაზე მომხსენებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარინე ბერაძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა

და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: მარინე ბერაძე

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება ----------

2015 წლის ----------

დ. ჩოხატაური

„ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს დადგენილების დანართი 2 - კანდიდატთა პროფესიული უნარების შეფასების ფორმა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზაალ მამამლაძე**

დასკვნა

„ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

დადგენილების თაობაზე

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსის/ატესტაციის ჩატარებისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან , ასევე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 № 412 დადგენილებით განისაზღვრა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესი, „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №411 დადგენილებით კი განისაზღვრა საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს ახალ წესებს ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის შესახებ. აღნიშნული დადგენილებაში შედის ცვლილება ძალადაკარგულად ცხადდება კანდიდატთა პროფესიული შესაფასების ფორმა, რადგანაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსის/ატესტაციის ჩატარებისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიას აქვს უფლებამოსილება დაამტკიცოს გასაუბრების შეფასების ახალი ფორმა, შესაბამისად უკვე არსებულმა ფორმამ უნდა დაკარგოს ძალა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად საკრებულო უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს აღნიშნულ დადგენილებაში.

აღნიშნული პროექტი მტკიცდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტით - საკრებულოს დადგენილებით.

„სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე: მარინე ბერაძე